ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №GF-T/SSP/S-758

ქ. თბილისი 28 იანვარი 2020 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" - (შემდგომში - „შემსყიდველი"), ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილის/პროგრამების დირექტორის ირმა ხონელიძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო" - (შემდგომში - „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის მოადგილის, ლევან გოგოძის სახით (შემდგომში - ერთობლივად წოდებული მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე - მხარე), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით, „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით (აგრეთვე მასში შეტანილი ცვლილებებით), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით (შემდგომში – „დადგენილება") დამტკიცებული „ტუბერკულოზის მართვის" (დანართი N6) სახელმწიფო პროგრამით (შემდგომში - „პროგრამა") ფარგლებში, აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის" (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) (შემდგომში „GFATM") მიერ დაფინანსებული „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფის" პროგრამის ფარგლებში, „შედეგზე დაფუძნებული დაფინანსება და ინტეგრირებული მკურნალობის მოდელი ტუბერკულოზის მართვის ამბულატორიულ დონეზე" პილოტური პროექტის მომსახურების (CPV85100000 – ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები; CPV85121232 - პულმონოლოგიური მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება და მომსახურების ვადები

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 234,665.00 (ორას ოცდათოთხმეტი ათას ექვსას სამოცდახუთი) ლარს (მათ შორის 21,000.00 ლარი ადმინისტრირების ხარჯი) (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი"), რომელიც მოიცავს ხელშეკრულებით გათვლისწინებულ მომსახურებასთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

3.2. მომსახურების ღირებულება მოცემულია დანართი №1-ში რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება „დადგენილების" დანართი №6.3-ს და ხელშეკრულების დანართ №1-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. „დადგენილების" დანართი №6.3-ს და ხელშეკრულების №1 დანართით განსაზღვრულ პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება „დადგენილებით" განსაზღვრულ პირობებს.

3.4. მომსახურების განხორციელების ვადაა 2020 წლის იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რომელიც დაყოფილია ასტრონომიულ კვარტლებად - 4 (ოთხი) ასტრონომიული კვარტალი.

3.5. მომსახურება განხორციელდება „დადგენილების" N6.3 დანართით განსაზღვრულ ლოკაციებში.

3.6. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული პროგრამა „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა" (საბიუჯეტო ხაზი: 18 –Paymennt for Results).

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რომელსაც განახორციელებს ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ხელმოწერა ხდება მხარეთა სათანადოდ უფლებამოსილი პირების მიერ.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა, საანგარიშო ასტრონომიული კვარტლის დასრულების თვის მომდევნო თვის არაუგვიანეს ბოლო სამუშაო დღისა, უნდა წარუდგინოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების კვარტალური ანგარიში, ადმინისტრაციული ხარჯის ჩათვლით. რაც მოიცავს

მიმწოდებლის მხრიდან დასაქმებული პერსონალის სახელფასო ანაზღაურებას და მონიტორინგზე გაწეულ სამივლინებო ხარჯს.

4.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 4.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განსახორციელებლად განსაზღვრული კოორდინატორი ან სხვა საამისოდ უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

5.2. ინსპექტირება განხორციელდება, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის 4.3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი კვარტალური ანგარიშის განხილვის საფუძველზე.

5.3. ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.4. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიმწოდებელს.

6. ანგარიშსწორება

6.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი კვარტალური ანგარიშების საფუძველზე ანგარიშსწორება განხორციელდება დანართი №1-თ განსაზღვრული პირობების შესაბამისად ფაქტიურად გაწეული მომსახურების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების 4.3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი წერილობით კვარტალური ანგარიში და მის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

ბ) მიმწოდებლის დროული ინფორმირება გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა აღნიშნული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილების დანართი 6.3. და (დანართი №1) შესაბამისად;

ბ) „დადგენილების" N6.3 დანართის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ლოკაციებში განახორციელოს შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი შერჩევის პრინციპით, კვარტალურად;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოთხოვოს შემსყიდველს სხვა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა;

დ) მიიღოს ზომები, რათა არ დაუშვას ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანხების, ან აქტივების გამოყენება ძალადობის და/ან ტერორიზმის მიზნებისთვის ან ფულის გათეთრების საქმიანობების მხარდასაჭერად, და/ან იმ ორგანიზაციების მხარდასაჭერად, რომლებიც დამნაშავედ არაიან ცნობილი არიან ტერორიზმის ან ფულის გათეთრების საქმიანობაში;

ე) გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და გლობალური ფონდის ვებ.გვერდზე http://www.theglobalfund.org/en/documents/governance/ განთავსებული) „მიმწოდებლების ქცევის კოდექსის" გაცნობა და მისი დაცვა, ასევე უზრუნველყოს მისი გაცნობა ქვეკონტრაქტორებისთვის (არსებობის შემთხვევაში).

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ფორს-მაჟორული გარემოებები

9.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

9.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

9.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

9.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

9.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

9.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

9.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

9.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2. შემსყიდველმა და მომწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

11.2. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობით 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე აცნობოს აღნიშნულის თაობაზე. ხელშეკრულების შეწყვეტას უნდა გააჩნდეს ობიექტური დასაბუთება.

11.3 წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

11.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

12. სხვა პირობები

12.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების

სურვილით.

12.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

12.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

12.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

12.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

12.6. ხელშეკრულება გაფორმებულია ელექტრონულად, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

12.7. ხელშეკრულება ძალაში მხარეთ მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 1 მარტის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
იურიდიული/ფაქტიური მისამართი:
ქ. თბილისი, 0198 კახეთის გზატკეცილი №99.

ს/კ №211324351
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ №TRESGE22
ა/ა №GE 24 NB 0330 1002 0016 5022

ირმა ხონელიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე/პროგრამების დირექტორი

L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Digitally signed by L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Date: 2020.01.28 17:26:44 +04'00'

„მიმწოდებელი“
სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“

იურიდიული/ფაქტიური მისამართი:
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144,
საიდენტიფიკაციო კოდი №202178927

ბ/კ № TRESGE22
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა №GE24NB0330100200165022
ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი
707037023

ლევან გოგოძე
დირექტორის მოადგილე

LEPL SOCIAL SERVICE AGENCY
2020.01.29 14:47:40 +04'00'

* ფულადი წახალისების გაცემა განხორციელდება კვარტალურად, უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით;
* ფულადი წახალისების გაცემა განხორციელდება ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოს (ინდიკატორი - DOT შესრულება) შესაბამისად;
* ფულადი წახალისების გაცემა უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ პაციენტების მიხედვით, რომლებიც სერვისის მიმწოდებელთან მომსახურებას მიიღებენ არანაკლებ 15 დღის განმავლობაში.
* ფულადი წახალისება გაიცემა შემდეგი წესით:
* მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ ინდიკატორის ≥85% შესრულების შემთხვევაში, ფულადი წახალისება გაიცემა სრული მოცულობით, თანდართული ცხრილის შესაბამისად;
* მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ ინდიკატორის 71-85%-მდე შესრულების შემთხვევაში, ფულადი წახალისება გაიცემა 50% ოდენობით, თანდართული ცხრილის შესაბამისად;
* მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ ინდიკატორის ≤70% შესრულების შემთხვევაში, ფულადი წახალისება არ გაიცემა.
* იმ შემთხვევაში, თუ ტუბერკულოზის მკურნალობის ამბულატორიულ რეჟიმზე მყოფი პაციენტი მკურნალობის გასაგრძელებლად მოთავსდება სტაციონარში და მას ამბულატორიული მკურნალობის პერიოდში ჰქონდა სრული დამყოლობა, ფულადი წახალისების მოცულობა გაიცემა ამბულატორიაში თვის განმავლობაში გატარებული არანაკლებ 15 დღიანი მკურნალობის გათვალისწინებით.
* პაცირნტი ითვლება ქალაქის პაციენტად, თუ DOT სერვისს იღებს ქალაქის/რაიონის დონეზე, ხოლო ითვლება სოფლის პაციენტად, თუ DOT სერვისს იღებს სოფლად.

ფულადი წახალისების მოცულობა 1 პაციენტზე თვეში (ლარი, დარიცხული)								
დაწესებულების ტიპი	პაციენტი	სულ ფულდი წახალისების ოდენობა (ლარი)	დაწესებ ულება	მენეჯე რი	ფთიზია ტრი	ოჯახის ექიმი	DOT ექთანი/ სოფლის ექთანი	სოფლის ექიმი
ინტეგრირებული	ქალაქი	60.83	7.58	6.74	17.36	14.41	14.74	
	სოფელი	68.26	7.58	6.74	17.36		14.74	21.84
სპეციალიზებული	ქალაქი	37.30	3.12	2.08	17.36		14.74	